პატარკაციშვილი თბილისში
რაისთან ერთად ჩამოდის?!

გაზეთი "ალია", 20-21 დეკემბერი, № 148, 2007

პატარკაციშვილი პოლიტიკური თოვლის ბაბუა ხდება, თუმცა ჯერ მხოლოდ ვირტუალურად, მან ხალხს „მარგალიტები" უკვე გადაუყარა, ავლაბარში „არკადიასთან" მშიერი ხალხის რიგი არ წყდება, ეს კი მიხეილ სააკაშვილის სირცხვილია – თუკი ამდენი უპოვარი გყავდა ქვეყანაში, რა გეშადრევნებოდა შე დალოცილო?! ესეც ქვეყნის სოციალური კრიზისის ერთ-ერთი დასტურია. ბადრი დღეს თბილისში უნდა იყოს, მაგრამ ის მაშინ გამოჩნდება, როცა მას არ ელიან. ვალერი გელბახიანი, წუხელ საღამოს 9 საათზე ჩამოფრინდა. „ალისთან" საუბარში თქვა, რომ შესაძლოა პატარკაციშვილმა 21 დეკემბერს სააკაშვილს დაბადების დღეც მიულოცოსო.

მაგრამ მიხეილი 40 წლის ხდება, ამ ასაკში კი მილოცვა ცუდის ნიშანია. მიხეილს ცხოვრების ახალი ფაზა ეწყება, როგორ გადაიტანს კრიტიკული ასაკის დამრგვალებას, ეს უკვე ბადრიზეა დამოკიდებული, რომელმაც „საცეცებად" დაყო საპრეზიდენტო კანდიდატები და ცდილობს, ყველა გზა მასთან მივიდეს. ბადრის შტაბიდან გვითხრეს რომ დღეს ბრიფინგს საარჩევნო დარღვევებზე გამართავენ, მაგრამ „არკადიადას" შეუყვარდა სიურპრიზები, ისევე, როგორც ეს „ნაციონალებს" სჩვევიათ. ამიტომ, რა მოხდება დღეს, ამის თქმა დანამდვილებით არ შეიძლება. ვალერი გელბახიანი ორი სიტყვით შემოიფარგლა, ლონდონში პატარკაციშვილთან სამომავლო გეგმები დავსახეთო. თუმცა „ალიამ" შეიტყო, რომ ბატონი ბადრი საქართველოში მარტო ჩამოსვლას არ გეგმავს და შესაძლოა იგი კონდოლიზა რაისთან ერთად ჩამოფრინდეს, ეს კი ნამდვილი შოკი იქნება სააკაშვილისთვის, რადგან ეს ქმედება მიხეილისთვის „ფანდარასტის" ტოლფასია. გელბახიანის თქმით, პატარკაციშვილი დიპლომატიურ კორპუსს შეხვდა და გამორიცხული არაა, რომელიმე გავლენიანი ქვეყნის დიდი თანამდებობის, პირთან ერთად ჩამოფრინდესო.

სხვათა შორის, ოლიმპიურ ფონდში ატეხილ სკანდალზე იგი რამდენიმე საათით ჩამოფრინდა და მას გვერდს პომპადური უმშვენებდა, რომელიც

მერდოკის მოადგილეა „ნიუს-კორპში“. მაშინაც იყო მის დაპატიმრებაზე საუბარი, როგორც დღეს.

„ალიას“ ერთი სკანდალური ინფორმაცი მიაწოდეს: ძალოვანი სამსახურები ბადრის აყვანის სერიოზულ გეგმას ამუშავებენ, ორი დღის წინ შსს-ს თანამშორომლები დღის 5 საათზე გაუშვეს სახლებში და როგორც წყარო გვიამბობს, ეს იმიტომ, რომ საიდუმლო გეგმა არ გამჟღავნებულიყოო. არადა, არჩევნების წინ ძალოვანი უწყება ყაზარმულზეა ხოლმე გადაყვანილი რომ ქვეყანაში ექსცესებს ადგილი არ ჰქონდეს. ისიც გვითხრეს, რომ სპეცსამსახურების მთელი ყურადღება აეროპორტზეა გადატანილი მას შემდეგ, რაც 7 ნოემბერს ასობით სპეცრაზმელმა იყვირა: „ბადრის რაა? დედის ტყვ...!“ თანაც ისე ბღაოდნენ რომ დაბმულ ჯორს ააწყვეტინებდნენ, რა გასაკვირია ის ინფორმაცია, რომ ორი დღის წინ სპეცრაზმს იარაღი დაურიგეს და წყარომ მისი ლიკვიდაციაც არ გამორიცხა. მართალია „ბადრი ბიძია“ საჯდომქვეშ შიშისგან „გარშოკს“ არ ამოიდებს და არც „პამპერსამოკრული“ არ ამოეფარება საკუთარ დაცვას, თუმცა მისი შესაძლო დაკავების შესახებ დეტალური ინფორმაციის საქმის კურსში ყოფილა და ეს ვალერი გელბახიანმაც დაგვიდასტურა.

ისე კი, მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც ასე უყვარს რესტორან „ფაეტონში“ სიარული, სადაც წინა კვირას 15 დეპუტატთან ერთად იქეიფა და ახალაიას კლანს, რომელმაც რამდენიმე დღის წინ დიღომში ერთ-ერთ რესტორანს სტუმრობდა, შევახსენებთ, რომ თქვენც გისმენენ ბატონებო. დათა, ბაჩო და როლანდ ახალაიების სუფრაზე, სადაც თურმე დავით კირკიტაძეც მჯდარა, ბიჭებს დაუკვეხნიათ, „ბადრის თავის მილიარდებს ტრ...ში შევთხრითო“. იმ საღამოს მისი განეიტრალების გეგმებზეც ბევრი თქმულა, მაგრამ ფრაზებს შეგნებულად არ დავაკონკრეტებთ, მორალზე საფიქრალად ესეც გეყოფად ბიჭებო.

გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკურ ექსპერტ **ლადო პაპავასთან**.

– პატარკაციშვილის „შეხიდების პროგრამაზე“ რას იტყვით, როგორც ექსპერტი? დენის და გაზის გადასახადის განახევრება, წყლის გადასახადის გაუქმება, რასაც საკუთარი ჯიბიდან დააფინანსებს 18 თვე.

– ეს გადაწყვეტილება, ძალიან ბევრი მოქლაქისთვის იქნება სასიამოვნო, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თუნდაც შეძლებულსაც „შეეხიდებიან“, მაგრამ მთლიანობაში ეს საზოგადოებისთვის ერთი მარტივი მიზეზის გამო კარგი

არაა. ჩვენმა საზოგადოებამ ძლივს ისწავლა მოხმარებული გაზის და ელექტროენერგიის გადახდა, ეს გამოიწვევს სხვის კმაყოფაზე ყოფნის განწყობის ჩამოყალიბებას. 18 თვე, წელიწად ნახევარი სავსებით საკმარისია, რომ მოსახლეობა კომუნალური გადასახადების სრულად გადახდას გადაეჩვიოს. მერე საკითხი ასე დადგება: თუ გამაჩინე კიდეც მარჩინე, მე ხომ გაჩენა არ მითხოვიაო. პატარკაციშვილს ეტყვიან შენ თუ 18 თვე შემინახე, კიდევ 6 თვე მარჩინეო, ეს კი უკმაყოფილების მიზეზი გახდება. მომჭირნეობით ხარჯვას ვინც კი შეჩვეულია და 100 კილოვატზე ნაკლებს მოიხმარს, ის გათამამდება და ეკონომიურად აღარ მოიხმარს დენსა თუ გაზს.

– მილიარდნახევრის შემოსვლა გარედან, ანუ არაბიუჯეტიდან, ინფლაციას არ გამოიწვევს?

– გადასახადებს მთლიანად გადაიხდის საკუთარი ჯიბიდან პატარკაციშვილი. ბაზარზე ფასების დონე განისაზღვრება თანაფარდობით, რომელიც არის ფულის მასასა და სასაქონლო მასას შორის. თუ ბადრი პატარკაციშვილის ამ პროექტის განხორციელებით სასაქონლო მასიდან ამოვარდება მილიარდნახევრის საქონელი ბრუნვიდან, რადგან მისი საფასური წინასწარ იქნება გადახდილი, დანარჩენი საქონელი უნდა გაიყიდოს იმ ფულზე რომელიც ბაზარზე ტრიალებს, ეს ნიშნავს რომ საქონელზე ფასი გაძვირდება, ეს ნიშნავს რომ საარჩევნო პროგრამა ინფლაციას გამოიწვევს.

– ფრანგმა ექსპერტებმა დათვალეს და თქვეს, რომ სააკაშვილის კამპანიაზე უკვე დაიხარჯა მილიარდ ორასი ათასი დოლარი: ვაუჩერების დარიგება, გაზრდილი პენსიები და ა.შ. იგულისხმება, ეს არ გამოიწვევს ინფლაციას?

– რა თქმა უნდა, სააკაშვილის პროგრამა არის მოქმედი. აქედან გამომდინარე ესეც ინფლაციურია. ამის გარდა ყველა კანდიდატის პროგრამა არის ინფლაციური, გამართულია პოლიტიკური აუქციონი, ვინ მეტს გადაიხდის ამომრჩევლის ხმის საყიდლად, რასაც შედეგი ექნება – ინფლაცია.

– ბადრის და სააკაშვილის საარჩევნო პროგრამას შორის რა განსხვავებაა?

– მისი პროგრამით ის ბიუჯეტს შეეხიდება, ბიუჯეტს შეეძლება სხვა მიმართულებითაც ხარჯოს თანხები, არც ბიუჯეტი არ უნდა იხდიდეს ელექტროენერგიის საფასურს და არც ბადრი პატარკაციშვილის ჯიბე. ჩვენ თვითონ უნდა მოგვეცეს იმის საშუალება, რომ უნარი გვქონდეს კომუნალური

გადასახადი თვითონ გადავიხადოთ, ესაა მისაღები ეკონომიკური განვითარებისთვის და არა ის, რომ ვიღაცამ ხალხს კომუნალური გადასახადები გადაუხადოს.

– პროგრამას სწორედ ეს გასდევს ფაბულად და საუბარია იმაზე, რომ ეს არის დროებითი დახმარება, სინამდვილეში უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები, რომ ადამიანებმა საკუთარი თავი უზრუნველყონ, მანამდე კი ასეთ რამეს ამბობს, საკუთარი სახსრებით გლეხებისგან მომავალ წელს გამოვისყიდი ყურძენისა და ციტრუსის მოსავალს და ჰპირდება, რომ ის დააბრუნებს მათ რუსეთის ბაზარზე.

– რუსეთის ბაზარზე გაყვანა ასეთი ადვილი არაა, ჩვენ მათთან ურთულესი პრობლემა გვაქვს, რადგან რუსეთს ჩვენი ორი ტერიტორია აქვთ ანექსირებული. არ მგონია, რომ ასე ადვილად გადაწყდება რუსეთთან ჩვენი პრობლემები. მაინტერესებს, ამ მოსავალს რომ შეიძენს გლეხებისგან, მერე რას უზამს ამ მოსავალს? ყურძენს გადამუშავება უნდა და ღვინოს ჩამოსხმა, იყიდა ეს ყველაფერი, მერე? ამაზე პასუხი უნდა გაიცეს. რა ჯადოსნური ჯოხი აქვს რუსეთთან ურთიერთობის დასათბობად, ეს მე არ ვიცი.

– ბადრი ამბობს, რომ ჩვენ გავხსნით რუსეთის ბაზრებს და ეს არ მოხდება საქართველოს ინტერესების ხელყოფის ხარჯზეო...

– მივესალმები ამას, თუმცა ეს ნაკლებად დასაჯერებლად მიმაჩნია, ღმერთმა ქნას რომ ვცდებოდე. რუსეთს არ უნდა დამოუკიდებელი საქართველო და ამისთვის ყველაფერს აკეთებს. თუ ჩვენ ამითი საქართველოს პროდასავლურ განვითარებას არ ხელვყოფთ, მაშინ როგორ აღსდგება ეს არ ვიცი...

– თქვენ აქტიურ პოლიტიკაში ბრძანდებოდით შევარდნაძის დროსაც და შეგახსენებთ, ბადრი და ბიძინა დაკარგული ტერიტორიების ყიდვას აპირებდნენო. რამდენად შესაძლებელია დღეს აფხაზეთის ყიდვა პატარკაციშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში?

– გულახდილად გეტყვით, მახსოვს ამ თემის ირგვლივ საუბრები, მაგრამ ეს მაშინაც ზღაპრად მიმჩანდა. მართალია, რუსეთში ქრთამები უყვართ და ამით ბევრი რამე კეთდება, მაგრამ ეს არარეალურად მეჩვენება. ჩვენ თვითონ რა გვინდა, ისეთ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდეთ, სადაც მოქრთამვის ინსტიტუტი უნდა არსებობდეს?

– კი მაგრამ თუკი ამ გზით მიზანი მიიღწევა, ეს საშუალება არ უნდა იყოს გამართლებული?

– გეთანხმებით, მაგრამ მთელი რუსეთის პოლიტიკური ელიტის მოქრთამვა შეუძლებელი იქნება. ქრთამის მასშტაბები ბევრად მეტია, ვიდრე ეს ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ცხადია, ყველა გზა კარგია ქვეყნის ტერიტორიის აღსადგენად მაგრამ, არა მგონია, რომ მოქრთამვით იქნება სტაბილური მთლიანობა.

– ბადრიმ როგორც თოვლის ბაბუამ გამოგვიგზავნა პროგრამა, სადაც ის კერძო მესაკუთრეებს ჰპირდება საკუთრების დაცვას, ბიზნესის განვითარებას, უმუშევრების დასაქმებას, მანამდე კი თითოეულ უმუშევარზე მთელი 18 თვის მანძილზე გაიცემა 50 ლარი თვეში.

– ცუდი არაა, თითო უმუშევარს თვეში რომ 50 ლარი ექნება. ცოტაა, მაგრამ ადამიანი ისე დამცირებულად არ იგრძნობს თავს. მერე ჩვენ რის ხარჯზე გავაჩერებთ ფასებს? დამატებითი ფული გამოვა და ინფლაციას ვერ ავცდებით.

– მოკლედ, ნებისმიერი ხელისუფლების მოსვლის შემთხვევაში ინფლაციას ვერ ავცდებით, თუმცა რა უფრო მნიშვნელოვანია, „ნაციონალების“ გამარჯვების შემდეგ ხალხის გამათრახება, თუ ბადრის ქვეყანაში ისეთი ინფლაცია, როდესაც კიდეც გშია და კიდეც არა, გცივა და არ გცივა, სადაც პირველ შვილზე 3 000 ლარს გაძლევს, მეორეზე 4 000-ს, და ყოველ დამატებით შვილზე 5 000-ს...

– დავუშვათ და ბადრი არ გახდა პრეზიდენტი, ამ შემთხვევაში არ გაიღებს თანხებს დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად? როცა ის იძახის უმუშევრების დახმარებას, კომუნალური გადასახადების შემცირებას, მესმის, რომ ეს დაკავშირებულია მის გაპრეზიდენტებასთან. რაც შეეხება დემოგრაფიულ საკითხს, თუ მას ქვეყნის გამრავლება უნდა, ამისთვის პრეზიდენტობა საჭირო სულაც არ არის. რამდენი სიკეთე აქვს ბიძინა ივანაშვილს გაკეთებული, რაც არ ჩანს, მისი აფიშირება საერთოდ არ ხდება. ამიტომ ცუდად ჟღერს, თუ მე არ გავხდები პრეზიდენტი დემოგრაფიულ პროგრამას არ დავაფინანსებ...

– თუ არ დაიზარებთ, გაიხსენეთ რა გააკეთა პატარკაციშვილმა გაპრეზიდენტებამდე?

– ძალიან ბევრი რამ გააკეთა.

– კი, მაგრამ ვინმემ ჰკითხა ბადრის, თუ არ გახდები პრეზიდენტი დემოგრაფიულ საკითხს მაინც დააფინანსებო? ან განახორციელებს მაინც საკუთარი პროგრამის ნაწილს, თუნდაც იმიტომ რომ ის კეთილი ბიძიაა...

– აგაშენათ ღმერთმა ჩვენ ერთნაირად ვფიქრობთ, მე ძალიან მომეწონებოდა, თუ გაპრეზიდენტების მიუხედავად ის დემოგრაფიულ ფონდს შექმნის, ეს მისთვის მომგებიანი იქნებოდა.

– თავადვე ბრძანეთ, რომ მან ქვეყნისთვის ბევრი რამ გააკეთა, რაზეც, როგორც ოპოზიცია აცხადებს, ნაციონალები ქულებს იწერდნენ, სააკაშვილი დიდი მაკრატლით დარბოდა და ლენტებს ჭრიდაო, მაგრამ ხელისუფლებიდან ვინმე დარჩა კმაყოფილი?

– მართალი ბრძანდებით, ეს უკვე არის გაპიარების თემატიკა, თუ როგორ გავაპიარებთ მის პროგრამას. მაგრამ შევხედოთ მეორე კუთხით საერთოდ არაა ბიძინა ივანაშვილის თემატიკა გაპიარებული.

– ეს პირადად ბიძინას მოთხოვნაა, მას გამოჩენის კომპლექსი აქვსო...

– კი, მაგრამ მან გადაარჩინა მეცნიერები, ის უხდის მათ ხელფასს. იმის თქმა მინდა, თუკი ბადრი იტყვის, რომ ყველა ვარიანტში დემოგრაფიულ ფონდს შექმნის, ეს იქნება გმირული ნაბიჯი.

– შეგახსენებთ პატარკაციშვილის ცნობილ გამოსვლას, თუკი ეს ხელისუფლება ჩემი ოჯახის შეურაცხყოფაზე გადავა, ყველაფერს გავაკეთებ მათ გასანეიტრალებლადო, ამ ხელისუფლებამ ყველა ადამიანური რესურსი ამოწურა ბადრისთან და როცა ჯარი დედას გაგინებს, თავმოყვარე კაცმა უნდა შეირჩინოს შეურაცხყოფა? მით უფრო, როდესაც ეს ანტისემიტიზმში გადადის და ურიას უწოდებენ?

– სახელმწიფოში დასჯილი უნდა იყოს ადამიანი შეურაცხყოფის მიყენებისთვის, ღირსების შელახვა ყოველთვის უნდა დაისაჯოს შესაბამისი კანონით. ეს არის დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპი.

– პროგრამიდან ამონარიდს წაგიკითხავთ, „2008 წლის 1 სექტემბრიდან მინიმალური ხელფასი განისაზღვროს 300 ლარის ოდენობით, ხოლო ამავე წლის 1 მაისიდან პენსია გაუტოლდეს 120 ლარს, ომის ვეტერანებს მიეცეს 150 ლარი...“ შეგახსენებთ, რომ ომის ვეტერანებს ხელისუფლებამ ყველა შეღავათი მოუხსნა, მათი გოდება კი არავინ შეისმინა. მოკლედ, დანაპირების შესრულება რამდენად რეალურია?

– ყველაფერი რეალურია, მით უფრო, როცა ადამიანი თავის ჯიბიდან იხდის, მაგრამ შედეგია მძიმე, ინფლაცია იქნება გარდაუვალი. 1993-94 წლებში საქართველო იყო ინფლაციურ სპირალში და ვშიშობ, რომ იგივე არ განმეორდეს.

– კი, მაგრამ, არ არსებობს ბერკეტი რაც ინფლაციას შეაჩერებს? აქვე იმასაც გეტყვით რომ ეს არაა პროგრამის სრული ვარიანტი და შესაბამისად, არ ვიცით რითი აპირებს ეს ადამიანი ინფლაციის შეჩერებას.

– როგორ არ არსებობს ინფლაციის შეჩერების მექანიზმი. მაგრამ ეს ყველაფერი საპრეზიდენტო კანდიდატის სათქმელია და არა ჩემი, მე არ ვარ მისი მრჩეველი მან უნდა თქვას რას აპირებს ამის საწინააღმდეგოდ, რომ მოსახლეობამ მას ხმა მისცეს.

– პროგრამაში არის საუბარი დევნილთა დაბინავების შესახებ, იგი წერს, რომ სამშენებლო კომპანიებს დავაინტერესებთ სახელმწიფო საკუთრებაში მიწის ნაკვეთებით და სანაცვლოდ შევთავაზებთ 10% ფართის გამოყოფას დევნილთათვისო...

– ეს ნორმალური წინადადებაა და ნამდვილად მოსაწონია. ამას არ მოყვება ცუდი ეფექტები.

– პროგრამის მეორე ნაწილს ბადრი უწოდებს „გარღვევის“ ეტაპს და ამბობს, ყველა კომპანია, რომელიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობას 20%-ით გაზრდის, განთავისუფულდება მოგების გადასახადისგანო...

– რამდენი ხნით განთავისუფლდება საერთოდ თუ გარკვეული ვადით?

– წერია, რომ „გარღვევის“ ეტაპი გაგრძელდება მხოლოდ 24 თვე, ანუ 2 წელი...

– გარდვევა ცუდი სიტყვაა, პირველად ეს სიტყვა 1998 წელს იხმარა მიხეილ ჭკუასელმა, მან დააყენა ეკონომიკური გარღვევის დოქტრინა და მაშინ მოხდა ბიუჯეტის ბოლომდე გარღვევა. ეს სიტყვა ჩემს გემოვნებაში არ ჯდება. რაც შეეხება მოგების გადასახადისგან განთავისუფლებას, ამას დათვლა სჭირდება, რადგან ყველა კომპანიას თავისი ხარჯები აქვს. თუკი 20%-ით დასაქმების ზრდა უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე 15%-იანი გადასახადისგან განთავისუფლება, ცხადია ბიზნესმენი მაშინ არავის არ დაასაქმებს. ამიტომ ვამბობ, კონკრეტულად რამდენწლიანი შეღავათია განსაზღრული.

– პროგრამაში აქცენტი გაკეთებული აქვს ფოთის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადებაზე....

– ჩემთვის ეს მიუღებელია, საქართველო დაავადებულია თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაავადებით, ვხედავ რომ ყველა ამბიციური პოლიტიკოსი ამითაა დაავადებული, ეს კატასრტოფაა, ამით ვანგრევთ ქვეყანას. თავისუფალ ეკონომკურ ზონას დადებითი შედეგი მხოლოდ იმ ქვეყანაში მოყვა, სადაც არის არალიბერალური საგარეო ვაჭრობის რეჟიმი, იმ ქვეყნაში სადაც ლიბერალურია საგარეო ვაჭრობის რეჟიმი, თავისუფალ ეკონომიკურ ზონას ნაკლები ეფექტი აქვს. საქართველოში ამ ბოლო პერიოდში კიდევ უფრო მეტად მოხდა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ქვეყანა, სადაც არის ინვესტიციური შიმშილი, თუკი იქ ვაკეთებთ ზონას, ეს ნიშნავს, რომ ინვესტიცია მხოლოდ ზონაში მოიყრის თავს და დანარჩენ ტერიტორიაზე ინვესტიციური შიმშილი გაიზრდება, ანუ საქართველოში გვექნება ერთი თავკომბალა თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში და მთელი ქვეყანა იქნება დანგრეული. როგორ შეიძლება ამას ვემხრობოდე?

– პროგრამაში საუბარია უცხოეთში ახალგაზრდების სასწავლებლად გაგზავნაზე და ამბობს, რომ უცხოეთში განსწავლული ახლაგაზრდა ვალდებულია საკუთარი განათლება მინიმუმ 5 წელი საკუთარ ქვეყანას მოახმაროს...

– ეს ძალიან კარგია, თუ თავის ფულს დახარჯავს ახალგაზრდების განათლებაზე, ისიც საზღვარგარეთ, მე ამას მივესალმები, თუ ამას ნებისმიერ შემთხვევაში გააკეთებს, ეს ერისთვის კარგი საქმე იქნება.

– ფინალში საინტერესო ფრაზა აქვს, „მე ვარ ძალიან მდიდარი ადამიანი და მეტი სიმდიდრე არ მჭირდება, მინდა ჩემი სიმდიდრე ქვეყანას მოვახმარო“.

– ძლიან კარგი, მაგრამ იმისათვის, რომ ქვეყანას შენი ფული მოახმარო, პრეზიდენტობა საჭირო არ არის. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ პრეზიდენტობა გადავფიქრებინო, ან ჩემს ნათქვამს ვინ დაუჯერებს, უბრალოდ ხაზს ვუსვამ, რომ აუცილებელი არაა იყო პრეზიდენტი, რომ კარგი საქმეები აკეთო, მართალია ბადრის ბევრი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული და მას ხალხი სწორედ ამიტომ აფასებს.

– მისი მომხრეები ამბობენ, რომ ხელისუფლებამ მას გაკეთებული სიკეთეები არ დაუფასა, უფრო მეტიც, დევნა დაუწყო და ამიტომაც გახდა იძულებული პრეზიდენტობისთვის ებრძოლაო... ისე, როგორც ამომრჩეველს მინდა გკითხოთ, ეს პროგრამა გამოიწვევს ამომრჩევლების ხმების გადმობირებას, თუნდაც ლეიბორისტების, ნაციონალების და ა.შ.

– ჩვენი მოსახლეობა იმდენად გაჭირვებულია, რომ ვინც მეტ ჩურჩხელასა და ქიშმიშს მისცემს, მის მხარეს გადავლენ. სააკაშვილი ბიუჯეტის ხარჯზე ჰპირდება ხალხს ჩურჩხელებს, ბადრი საკუთარი ჯიბიდან. მათ პროგრამებს ძირითადად ეს განსახვავებს, მაგრამ ყველას ახსოვდეს, რომ ბიუჯეტის შემოსავლებს მოსახლეობა ქმნის, ამიტომ ისევ ჩვენი შემოსავლებიდან ჰპირდება სააკაშვილი ამომრჩეველს ქიშმიშებს და ჩურჩხელებს. ხოლო ბადრი რა მექანიზმებით დააბალანსებს საკუთარი ჯიბიდან გაღებული ფულის ამოღებას, ამას ალბათ თავადვე იტყვის. მოკლედ, ყველა ამომრჩეველს თავისი გემოვნება აქვს, თუმცა ხმების ყიდვის აუქციონი და წინასაარჩევო ბაზრობა გამოცხადებულია.

ნინო სამხარაძე